

საქართველოს ენერგეტიკისა და  
წყალმომარაგების მარეგულირებელი  
ეროვნული კომისია

ადმინისტრაციული წარმოების  
თავისებურებანი ნორმატიული და  
ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-  
სამართლებრივი აქტების მიღებისას  
იურიდიული დეპარტამენტი  
მაკა სალხინაშვილი  
2009 წელი

# კომისიის სამართლებრივი აქტები

- კომისია თავისი კომპეტენციის ფარგლებში იღებს ნორმატიულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს-დადგენილებას, რომელიც შეიძლება გამოიცეს მხოლოდ „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ შემთხვევებსა და ფარგლებში.
- ცალკეულ საკითხებზე კომისია თავისი კომპეტენციის ფარგლებში იღებს- გადაწყვეტილებას.
- კომისიის თავმჯდომარე კომისიისა და კომისიის აპარატის შიდაორგანიზაციულ საკითხებზე გამოსცემს ბრძანებებს.
- კომისიის სტრუქტურულ ერთეულებს არ აქვთ ნორმატიული აქტების გამოცემის უფლება.

# კომისიის მიერ სამართლებრივი აქტების მიღება

- დადგენილებები და  
გადაწყვეტილებები მიიღება  
კოლექტიურად, კომისიის არანაკლებ 3  
წევრის მიერ.
- ბრძანებები მიიღება ერთპიროვნულად  
კომისიის თავმჯდომარის მიერ

# კომისიის სამართლებრივი აქტების შესრულების სავალდებულობა


კომისიის დადგენილებებისა და  
გადაწყვეტილებების შესრულება  
სავალდებულოა ღიაცენზიატების,  
მიმწოდებლების, იმპორტიორების,  
ექსპორტიორების მომხმარებლებისა და  
სისტემის კომერციული  
ოპერატორებისათვის.

## საკითხები, რაზედაც მიიღება ინდივიდუალური და ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები

- ინდივიდუალური აქტები მიიღება: ლიცენზიის გაცემისას, ლიცენზიის გაუქმებისას, სადავო საკითხების გადაწყვეტისას და სხვა.
- ნორმატიული აქტებია: კომისიის დებულება, საქმისწარმოების წესები და პროცედურები, სადავო საკითხების განხილვის პროცედურული წესები, რეგულირების საფასურის ოდენობა და გაანგარიშების წესი, ლიცენზირების წესები, მიწოდების და მოხმარების წესები, ტარიფების მეთოდოლოგია, ტარიფები, ნორმატიული დანაკარგების ოდენობა და გაანგარიშების წესი.

# ნორმატიული და ინდივიდუალური ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტების მიღების ზოგადი წესი

ნორმატიული და  
ინდივიდუალური  
ადმინისტრაციულ-  
სამართლებრივი აქტები  
კომისიაში მიიღება საჯარო  
ადმინისტრაციული  
წარმოების წესით  
(საქართველოს  
კანონმდებლობა იცნობს  
ადმინისტრაციულ-  
სამართლებრივი აქტების  
მიღებას მარტივი,  
ფორმალური და საჯარო  
ადმინისტრაციული  
წარმოების წესით).



ნორმატიული აქტები, რომლებიც არეგულირებენ ნორმატიული და ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების მიღებას და გასაჩივრებას

- საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი (შემდგომში „ზაკ-ი“), 1999წ.
- საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი, 1999წ.
- „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონი, 1996 წ.

# კომისიის, როგორც ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობის სამართლებრივი ფორმები

## ინდივიდუალური და ნორმატიული სამართლებრივი აქტების მიღება


- ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების მიღება გაცილებით რთულია და გარკვეულ პროცედურებთანაა დაკავშირებული, ვიდრე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა.
- ინდივიდუალური და ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები კომისიაში მიიღება მხოლოდ წერილობითი ფორმით.

# ნორმატიული აქტების იერარქია

საქართველოში მოქმედი ნორმატიული აქტებისათვის იურიდიული ძალის მიხედვით დადგენილია შემდეგი იერარქია:

- საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს კონსტიტუციური კანონი
- საქართველოს კონსტიტუციური შეთანხმება
- საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულება და შეთანხმება
- საქართველოს ორგანული კანონი
- საქართველოს კანონი, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი, საქართველოს პრეზიდენტის დეკრეტი
- საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება
- საქართველოს პარლამენტის დადგენილება, საქართველოს მთავრობის დადგენილება
- საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის დადგენილება

# ნორმატიული აქტების იერარქია



# ინდივიდუალური ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტების მიღება

- ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტი მიიღება დაინტერესებული პირის განცხადების საფუძველზე ან კომისიის ინიციატივით.
- ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტი უნდა იყოს დასაბუთებული და მიეთითოს ის საკანონმდებლო ან კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი ან მისი შესაბამისი ნორმა, რომლის საფუძველზედაც გამოიცა ეს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტი.
- ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტი არ საჭიროებს დასაბუთებას თუ გამოცემულია გადაუდებელი აუცილებლობით, თუმცა გამოცემიდან 1 კვირის ვადაში სავალდებულოა დასაბუთება.

- ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტი ძალაში შედის მხარისათვის კანონით დადგენილი წესით გაცნობისთანავე ან გამოქვეყნების დღეს.
- ფოსტის მეშვეობით გაგზავნილი ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტი ძალაში შედის გაგზავნიდან არა უგვიანეს მე-7 დღისა.
- ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტი საგააღდებულოა გამოქვეყნდეს ოფიციალურ ბეჭდვით ორგანოში ან გამოცხადდეს საჯაროდ, თუ იგი ეხება 50-ზე მეტ პირს.

# ნორმატიული ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტების მიღება

- ადმინისტრაციული წარმოების დაწყება ხდება სემეკ-ის გადაწყვეტილების საფუძველზე
- გადაწყვეტილება აღნიშნულის თაობაზე წერილობითია და წარმოადგენს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ სამართლებრივ აქტს
- ნორმატიული ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტის გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოება შეიძლება დაიწყოს ფიზიკური ან იურიდიული პირის, ადმინისტრაციული ორგანოს განცხადების საფუძველზე მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში
- ნორმატიული ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტის პროექტს ამზადებს უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანო (სემეკი).

- ნორმატიული ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტის პროექტი უნდა გამოქვეყნდეს საჯაროდ, ასევე სავალდებულოა ცნობის გამოქვეყნება, სადაც აღნიშნული იქნება ნორმატიული აქტის შესახებ ცნობები.
- ყველას აქვს უფლება წარადგინოს საკუთარი მოსაზრებანი ნორმატიული ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტის პროექტთან დაკავშირებით, თუმცა ამ მოსაზრებებზე პასუხის გაცემა სავალდებულო არ არის.
- კომისიის სხდომაზე განიხლება ნორმატიული აქტის პროექტი, რომელსაც უნდა დაერთოს განმარტებითი ბარათი, რომელშიც აისახება ნორმატიული აქტის მიღების მიზეზი და მისი დამახასიათებელი ნიშნები, იმ შედეგების საფინანსო-ეკონომიკური გაანგარიშება, რასაც გამოიწვევს წარდგენილი პროექტის მიღება, პროექტის ავტორის ვინაობა და პროექტის წარმდგენი.
- ნორმატიული აქტი უნდა შეიცავდეს რეკვიზიტებს (აღნიშნული საკითხი მოცემულია ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსში და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონში).

- კომისიის სხდომაზე გატანილი ნორმატიული აქტის პროექტი, განმარტებით ბარათთან ერთად გაიგზავნება საქართველოს იუსტიციის სამინისტროში სამართლებრივ ექსპერტიზაზე დასკვნისათვის. იუსტიციის სამინისტრო ვალდებულია 10 დღის ვადაში კომისიას გამოუგზავნოს დადებითი დასკვნა ან გარკვეული შენიშვნები ნორმატიული აქტის პროექტთან დაკავშირებით. ამის შემდეგ კომისია სხდომაზე დასამტკიცებლად წარადგენს ნორმატიულ აქტს და განიხილავს ასევე იუსტიციის სამინისტროდან მიღებულ პასუხს.
- კომისია ვალდებულია ნორმატიული აქტი უფლებამოსილი პირის ხელმოწერიდან 5 დღის ვადაში სარეგისტრაციოდ გადასცეს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს.
- საქართველოს იუსტიციის სამინისტრო ნორმატიულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს მიანიჭებს სარეგისტრაციო ნომერს და ნორმატიულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გადაეცემა ოფიციალურ ბეჭდვით ორგანოს დასაბეჭდად.

# ნორმატიული და ინდივიდუალური ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტების

## გასაჩივრების წესი

- კომისიის მიერ მიღებული ნორმატიული და ინდივიდუალური ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტები გასაჩივრდება ქუთაისის საქალაქო სასამართლოში.
- ინდივიდუალური ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტების გასაჩივრების ვადაა 1 თვე
- ნორმატიული ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტების გასაჩივრების ვადაა უშუალო ზიანის მიყენებიდან 3 თვე

# სტატისტიკა

2008 წელი

მიღებულია 36 ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი-  
დადგენილება და 42 ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი-  
გადაწყვეტილება.

აქედან გასაჩივრებულია 3 ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი  
აქტი და 1 ნორმატიულ ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტი, ამათგან  
ყველა მოგებულია კომისიის მიერ.

2009 წელი (იანვარი-მაისი)

მიღებულია 8 ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი-  
დადგენილება და 20 ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი-  
გადაწყვეტილება.

გასაჩივრებულია 1 ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი,  
(მიმდინარეობს განხილვა), 6 ინდივიდუალურ-ადმინისტრაციულ  
სამართლებრივი აქტიდან კი 3 მოგებულია კომისიის მიერ, ხოლო 3 საქმის  
განხილვა მიმდინარეობს.

# გმადლობთ ყურადღებებისათვის